სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

12 ნოემბერი, 2024 წ.

ბრძანება N 01-10/98

ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტში სტაჟიორთა შერჩევის მიზნით საკონკურსო კომისიის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე და 24-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2013 წლის 29 მარტის N2 გადაწყვეტილების, „ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტში სტაჟიორთა შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2024 წლის 16 ოქტომბრის N01-10/89 ბრძანების, „ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის დირექტორის 2024 წლის 05 ნოემბრის N1419989 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2024 წლის 16 ოქტომბრის N01-10/89 ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის საფუძველზე ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტში სტაჟიორთა შერჩევის მიზნით დამტკიცდეს **საკონკურსო კომისია** შემდეგი შემადგენლობით:

   ა) **ნინო მხეიძე** - აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის დირექტორი, კომისიის თავჯდომარე;
   ბ) ***ნინო კიკნაძე*** - აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის აგრარული და კვების ტექნოლოგიების განყოფილების *მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, კომისიის მდივანი;*
   გ) ***ნუნუ კუტალაძე***- აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის აგრარული და კვების ტექნოლოგიების განყოფილების *უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, კომისიის წევრი;*
   დ) ***რაულ გოცირიძე***- აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის *მემბრანული ტექნოლოგიების განყოფილების უფროსი (მთავარი მეცნიერი თანამშრომელის საკვალიფიკაციო მონაცემებით), კომისიის წევრი;*
   ე) **დარეჯან ბარაბაძე** - ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურის (კანცელარია) მთავარი სპეციალისტი, კომისიის წევრი.

2. წინამდებარე ბრძანებით შექმნილი კომისიის სხდომა გაიმართოს 2024 წლის 13 ნოემბერს 11:00 სთ-ზე, N13 აუდიტორიაში (ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტი - ქ. ბათუმი, გრიშაშვილის ქუჩა N5).

3. საკონკურსო კომისიამ უზრუნველყოს კონკურსის მონაწილეთა ინფორმირება გასაუბრების თარიღის, დროისა და ადგილის შესახებ, კონკურსანტების მიერ მითითებული საკონტაქტო ინფორმაციის მეშვეობით.
4. წინამდებარე ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (კონკურსების ველში).
5. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
6. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი შერაბ დიასამიძე